(4) გამყიდველი ვალდებულია ნასყიდობის საგნის გადაცემასთან ერთად მყიდველს გადასცეს ყველა იმ გადასახადის (გადასახდელის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც დაკავშირებულია ნასყიდობის საგანთან. ამასთან, დოკუმენტები უნდა ასახავდნენ ნასყიდობის საგნის გადაცემის დღის მდგომარეობას (დავალიანების არარსებობას).

(5) ნასყიდობის საგნის გადაცემად მიიჩნევა ნასყიდობის საგნის ჩაბარება მყიდველის განკარგულებაში (გასაღების გადაცემა და/ან სხვა ისეთი მოქმედებების შესრულება, რაც ჩვეულებისამებრ ხდება უძრავი ქონების გადაცემისას), რა დროსაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

(6) ნასყიდობის საგნის შემთხვევითი დაღუპვის, ან დაზიანების რისკი მყიდველზე გადადის ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემის მომენტიდან

(7) წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მშენებლობის დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ბინის ღირებულების 0.3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე

მუხლი 7. ხელშეკრულების დადების ხარჯები

(1) წინამდებარე ხელშეკრულების დამოწმების ხარჯებს იხდის გამყიდველი, ხოლო საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა ეკისრება მყიდველს.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა. ვალდებულების დარღვევის შედეგები

(1) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დაარღვევს ფულად ვალდებულებებს ზედიზედ ორი კალენდარული თვის განმავლობაში, ან უარს იტყვის ნასყიდობის საგანზე, მაშინ ხელშეკრულება შეწყდება და სამომავლო საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე გაუქმდება, ნასყიდობის საგანი გასხვისდება მესამე პირზე და მხოლოდ ამის შემდეგ მყიდველს შემოტანილი თანხა დაუბრუნდება, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ შემთხვევაში პირველი მხარე უფლებამოსილია დააყოვნოს შემოტანილი თანხის უკან დაბრუნება ნასყიდობის საგნის მესამე პირზე რეალიზაციამდე, თუმცა ამავე დროს ვალდებულია დაუყოვნებლივ დააბრუნოს მყიდველის მიერ შემოტანილი თანხა ნასყიდობის საგნის მესამე პირზე რეალიზაციის შემდეგ

(2) მესამე პირზე რეალიზაციად ასევე ჩაითვლება აღნიშნული ნასყიდობის საგნზე მესამე პირის სამომავლო საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებაც

(3) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დათქმული პირობების შესრულების შემდეგ და უძრავ ნივთზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ მას არ აქვს უფლება უარი თქვას ნასყიდობის საგანზე

მუხლი 9. საავტორო უფლებები ნასყიდობის საგნისა და საცხოვრებელი სახლის გადაკეთების დაუშვებლობა

(1) წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი აცხადებს, რომ მას ეკუთვნის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საავტორო უფლება.

(2) გამყიდველი უფლებამოსილია, მყიდველის ნებართვის გარეშე ცვლილებები შეიტანოს პროექტში, მათ შორის დაამატოს ერთი ან რამდენიმე სართული, ამ პუნქტით დადგენილი წესი არ ეხება შემთხვევას, როდესაც პროექტის ცვლილებამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ნასყიდობის საგნის პროექტზე – ასეთ შემთხვევაში პროექტის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მყიდველის ნებართვის საფუძველზე.

(3) მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გამყიდველის წერილობითი ნებართვის გარეშე არ განახორციელოს საცხოვრებელი სახლის ცვლილება. ამ მუხლის მიზნებისათვის „ცვლილების“ ქვეშ მხარეები გულისხმობენ ნებისმიერ გადაკეთებას, შეცვლას, დაშენებას, მათ შორის, ფარეხის, ტალავერის, ბაღის, ტერასის, კიბეების მშენებლობას, მიშენებას, ჩაშენებას, საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნარგაობების, ხეებისა და ბუჩქების დარგვას, საცხოვრებელ სახლზე ან მის მიმდებარედ სხვადასხვა სახის კაბელების, მავთულების და/ან სხვაგვარი გაყვანილობების გაბმას, ნასყიდობის საგნის ისეთ ცვლილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს საცხოვრებელი სახლის ფასადზე და/ან ინტერიერზე (საცხოვრებელი სახლის გარეფასადის ფერის შეცვლა, საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა საერთო საკუთრებაში არსებული სხვა პერიმეტრზე (საერთო ავტოსადგომი, სადარბაზო და სხვა) ფერის შეცვლა).

მუხლი 10. განსაკუთრებული პირობები

(1) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოითხოვს და აღნიშნული მოთხოვნა წინააღმდეგობაში არ მოვა პროექტთან და საფრთხეს არ შეუქმნის საცხოვრებელი სახლის (შენობის) მდგრადობას, გამყიდველს შეუძლია, არქიტექტორებთან შეთანხმებით, ნასყიდობის საგნის შიდა პერიმეტრზე შეცვალოს ტიხრების განლაგება და/ან სხვა რომელიმე დეტალი. ამ შემთვევაში, გამყიდველი დატიხვრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უგზავნის ზეპირ შეტყობინებას მყიდველს, რათა მან წარმოადგინოს შიდა დატიხვრის საკუთარი პროექტი.

(2) ტიხრების და სხვა დეტალების შეცვლა არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს მყიდველის მხრიდან პროექტის ფარგლებში.

(3) მხარეთა შეთანხმებით, მყიდველს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს გამოსაყენებელი მასალის ხარისხს, რომელიც გათვალისწინებულია შეთანხმებული ვალდებულებების შესასრულებლად.

(4) იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მიერ შერჩეული მასალის ხარისხი შესაბამისობაში იქნება შეთანხმებულ სტანდარტთან, მაგრამ მყიდველს ექნება სურვილი შეცვლილი იქნეს გამყიდველის მიერ შერჩეული მასალა, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, შეცვალოს მასალა, ხოლო მყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მასალის შეცვლით გამოწვეული ხარჯები (სხვაობა მყიველის სასურველი მასალისა და გამყიდველის მიერ შერჩეული მასალის ფასს შორის).

(5) წინამდებარე ხელშეკრულებით მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გამყიდველის შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, მაგრამ არაუადრეს მშენებლობის დასრულებამდე 3 თვისა, გადაიხადოს ს.ს. „თელასის“ და შ.პ.ს. „თბილწყალკანალისა“ მიერ დაწესებული ერთჯერადი გადასახადი, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კომუნიკაციების მრიცხველების მონტაჟის ჩათვლით (გადასახადის ოდენობას ადგენს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები გადახდის მომენტისათვის).

მუხლი 11. მყიდველის მიერ მოთხოვნის დათმობა

(1) წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველი უფლებამოსილია გამყიდველთან წერილობითი შეთანხმებით მესამე პირს დაუთმოს (გასხვისება სასყიდლით ან უსასყიდლოდ) წინამდებარე ხელშეკრულებით გაყიდველის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნები.

(2) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ მოხდება მოთხოვნის დათმობა (გასხვისება სასყიდლით ან უსასყიდლოდ), მის ადგილს დაიკავებს მოთხოვნის მიმღები. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება განახორციელოს მოთხოვნის მიმღების სასარგებლოდ. ამასთან, მყიდველის მიერ განხორციელებული შესრულება (ავანსის გადახდა და/ან სხვა) მიიჩნევა მესამე პირის მიერ განხორციელებულად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

(1) მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

(2) „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, მუშაკთა უკმარისობა, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

(3) მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონიერულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს შესაბამისი დასკვნით.

(4) თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა
წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება:
(1) მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;
(2) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
(3) მყიდველის მიერ ფულადი ვალდებულებების ზედიზედ ორი კალენდარული თვის განმავლობაში დარღვევით.
(4) საქართველოს კანონმდებლობით იმპერატიულად გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა
(1) მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.
(2) თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს

მუხლი 15. ხელშეკრულების ნაწილის ბათილობა
თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებენ ბათილი დებულების გარეშე.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალმოსილია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და ნოტარიალური წესით დამოწმებისთანავე.

მუხლი 17. ხელშეკრულების ენა და ეგზემპლარები
წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება გამყიდველთან, ხოლო მეორე – მყიდველთან. ერთი ნოტარიუსთან, სამივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ხელშეკრულებას თან ერთვის 3 დანართი დოკუმენტი:
1) ბინის პროექტის ნახაზი
2) ავტოსადგომის პროექტის ნახაზი
3) თანხის გადახდის გრაფიკი

მეშვიდე სართულის გეგმა მ.1:250 20.70 ნიშნულზე




ავტოფარეხი - 2.80 ნიშნულზე
1,491.33 m²

ლამარა თათვიძე თანხის გადახდის გრაფიკი (დანართი №2)				
№	გრაფიკით დადგენილი თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	სახელშეკრულებო ღირებულება აშშ დოლარში	გრაფიკით შემოსატანი თანხა აშშ დოლარში	ნაშთი აშშ დოლარში
	28.12.2010	71900	5000	
1)	05.01.2011		1000	
2)	05.02.2011		1000	
3)	05.03.2011		1500	
4)	05.04.2011		1500	
5)	05.05.2011		1500	
6)	05.06.2011		1500	
7)	05.07.2011		1500	
8)	05.08.2011		1500	
9)	05.09.2011		1500	
10)	05.10.2011		1500	
11)	05.11.2011		1500	
12)	05.12.2011		1500	
13)	05.01.2012		1500	
14)	05.02.2012		1500	
15)	05.03.2012		1500	
16)	05.04.2012		1500	
17)	05.05.2012		1500	
18)	05.06.2012		1500	
19)	05.07.2012		1500	
20)	05.08.2012		39400	

გამყიდველი:

მყიდველი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N101304861
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.12.2010 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო ბარაბაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა #3**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	74 87 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	66211272889610

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საქართველო

ორი ათას ათი წლის ოცდაცხრა დეკემბერს მე, ნინო ბარაბაძე, ნოტარიუსი ქ.თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ.№3, ვამოწმებ **ირაკლი ლომთათიძის** (დაბ. 12.05.1988წ. მცხ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 6, ბინა 20, პირადი №01024053119) და **ლამარა თათვიძის** (დაბ. 22.10.1953წ. მისი განცხადებით მცხოვრები: თბილისი, უზნაძის ქ. 91ა, პირადი №60001069659) ხელმოწერებს მათ მიერ წარმოდგენილ **მომავალი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე**. ირაკლი ლომთათიძემ განაცხადა, რომ იგი ხელშეკრულებაზე ხელს აწერს როგორც შპს "ჯორჯიან ჰაუზი"-ს დირექტორი (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიისა განაცხადის ნომერი: 124603, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10114338, ამონაწერის მომზადების თარიღი: 21/09/2010 09:34:52). მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. მე მათ განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მე ვამოწმებ მხოლოდ მათი ხელმოწერების ნამდვილობას. მათ განაცხადეს, რომ იცნობენ ხელშეკრულების ტექსტს და იგი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს მას ხელი, რასაც ვამოწმებ. შეთანხმებაზე ხელმოწერები დამოწმებულია სამ ეგზემპლიარად, ხელმოწერები შესრულებულია ერთ გვერდზე. სანოტარო მოქმედება ხელმომწერების თხოვნით შესრულებულია სანოტარო ბიუროს გარეთ მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თხუთმეტი ლარი და რეგისტრაციის საფასური ორი ლარი თანახმად საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" მე-29.3, 31.2 და 31[1] მუხლებისა.

ნოტარიუსი ნინო ბარაბაძე

დამატება #1 ცვლილება №1 უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში

13 ივლისი, 2011 წ.

ერთის მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ჰაუზი", ადგილმდებარეობით ქ. თბილისი, ვეჟა-ფშაველას №16 ოფისი №1312, რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 26 ივნისს რეგისტრაციის №205211910 ტელ: 8 (32) 313208; 313209 წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ლომთათიძის სახით (შემდგომში გამყიდველი)

და

მეორეს მხრივ, ლამარა თათვიძე, დაბ. 22.10.1953, პირადი №60001069659 (შემდგომში მყიდველი)

წინამდებარე დამატება №1 შედგენილია ჩვენს მიერ 2010 წლის 26 დეკემბერს ხელმოწერილი უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №10130486I დამოწმებული ნოტარიუს ნინო ბარაბაიძის მიერ 29.12.2010წ.. (შემდგომში: - "ხელშეკრულება")

მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს "ხელშეკრულების" მუ-3 მუხლის I-ლი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მხარეთა შეთანხმებით, ნასყიდობის საგანი არის შემდეგი უძრავი ქონება:
   ა) საცხოვრებელი ბინა მდებარე: თბილისი, გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. №5 და არაღელთის ქუჩისა და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ
      სართული 7
      საძარებაზი 3
      ბინა № 118 (ჩრულად) და №117-ის ნაწილი (36 კვ.მ. მოლიანი 72.96 კვ.მ-დან)
      საერთო ფართი 157 (ას ორმოცდა ჩვიდმეტი) კვადრატული მეტრი
   ბ) ავტოსადგომები რომლებიც პროექტში აღნიშნულია №74; №75; და №76–ით

2. წინამდებარე დამატებაზე ხელმოწერით გამყიდველი გადასცემს მყიდველს ~~საბოლოო~~ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტს ~~ხელშეკრულების~~ მუ-5 მუხლის შესაბამისად. გადასცემს მყიდველს <u>საბოლოო საკუთრების უფლებით</u> "ხელშეკრულების" მუ-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტში აღნიშნულ ნასყიდობის საგანს – საცხოვრებელი ბინა (ბინა №118) შესაბამისად აღნიშნული უძრავი ნივთის/ნივთების საჯარო რეესტრის მონაცემებია:

- ბინის საკადასტრო კოდი: 01/12/08/021/017/02/02/029
- ფართობი: დაზუსტებული 3677 კვ. მ.
- მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. №5 და არაღელთის ქუჩისა და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ
  - საკუთრების საკუთრების ტიპი: თანახაკუთრება
  - საკუთრების უფლება: არასახიფლო-სამეურნეო.
  - სართული: 7, შენობა №2
  - სათანდო ფართი №29 (მშენებარე)
  - ფართი: 22.30 კვ.მ.

*შენიშვნა ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთს გამყიდველი სრულად გადასცემს სამომავლო საკუთრების უფლებით მყიდველს

3. წინამდებარე დამატებაზე ხელმოწერით გამყიდველი "ხელშეკრულების" მუ-5 მუხლის შესაბამისად, გადასცემს მყიდველს <u>სამომავლო საკუთრების უფლებით</u> "ხელშეკრულების" მუ-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტში აღნიშნულ ნასყიდობის საგანს – საცხოვრებელი ბინა (ბინა N117) შესაბამისად აღნიშნული უძრავი ნივთის/ნივთების საჯარო რეესტრის მონაცემებია:

- ბინის საკადასტრო კოდი: 01/12/08/021/017/02/02/030
- ფართობი: დაზუსტებული 3677 კვ. მ.
- მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. №5 და არაღელთის ქუჩისა და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ
  - საკუთრების საკუთრების ტიპი: თანახაკუთრება
  - საკუთრების უფლება: არასახიფლო-სამეურნეო.
  - სართული: 7, შენობა №2
  - სათანდო ფართი №30 (მშენებარე)
  - ფართი: 21.67 კვ.მ.

*შენიშვნა წინამდებარე დამატებაზე ხელმოწერით გამყიდველი გადასცემს მყიდველს სამომავლო საკუთრების უფლებით ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთის ნაწილს კერძოდ 36 (ოცდათექვსმეტი) კვადრატულ მეტრს მთლიანი 71.67 (სამოცდათორმეტი მთელი ექვსდაშვიდი მეათედი) კვ.მ. დან დარჩენილი 35.67 კვ.მ. ფართი რჩება მპს "ჯორჯიან ჰაუსის" საკუთრებაში. ფართების გამიჯვნა მოხდება არქიტექტურული ტიპების ამშენებით.

ბინათმფლობელობის ნოტარიუსის საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით განისაზღვრება "ხელშეკრულებაში" აღნიშნულ ნომრებთან, თუმცა მხარეები თანხმდებიან რომ აღნიშნული უძრავი ნივთის სხვა თვისებრივი ძირითადებებში არ შეიცვლება (სართული, მდებარეობა, ფართი, ხედარბაზი) და წარმოადგენს "ხელშეკრულების" მუ-3 მუხლის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული ნასყიდობის საგანს. ამასთან ფართის

მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს "ხელშეკრულების" მუ-4 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიღებული ვალდებულების, გამყიდველის მ ყიდველის მუ-3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ნივთში ჩასყიდობის ფასი 78500 (სამოცდათვრამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.
2. ზემოაღნიშნული თანხას მიღებული გადახდის წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული თანხის გადახდის გრაფიკის შესაბამისად. ამასთანავე, თუ გამყიდველის წარმოქმნა ყიდნანსური სახსრების ხარჯზეა მიღებული ვალდებულება სრულად დაფარულ უნდა იქნა 2012 წლის თებერვლის თვეში.
3. ჩასყიდობის ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს ეროვნული ვალუტით - ლარით თანხის გამოანგარიშებისას გამოყენებული იქნება გადახდის მომენტისათვის ხელშეკრულების ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური საკურსო კურსი. სხვა ქვეყნებიდან თანხის გადმორიცხვის შემთხვევაში გადახდა უნდა განხორციელდეს აშშ დოლარით.
4. ჩასყიდობის ფასის გადახდის ვადა - უნაღდო ანგარიშსწორება გამყიდველის მიერ მიჩენებულ ბანკის ანგარიშზე
5. უნაღდო ანგარიშსწორების დროს თანხის გადახდა შეიძლება მოხდეს შემდეგ ბანკის ანგარიშზე:
   ის "ხალიკბანკი"
   ა.ა. GE06BG0000000204279501
   მიმღები: შპს "ჯეორჯიან პაუხა"

მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს "ხელშეკრულების" მუ-8 მუხლის 1-ლი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(1) ამ შემთხვევაში, თუ მიღებული დაორღვევს ფულად ვალდებულებებს ხელშეკრულებით ათი კალენდარული დღის განმავლობაში, ის უარს იტყვის ჩასყიდობის ხელშეკრულებაზე, მაშინ ხელშეკრულება შეწყდება და სესხისაღებელი ხელშეკრულების უფლება ჩასყიდობის საგანზე გაუქმდება. ჩასყიდობის საგანი გამოსყიდვის შესახებ ალრის და მხოლოდ ამის შემდეგ მიღებულის შემოსავალი თანხა დაუბრუნდება (ჩაეთვის არსებობის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში პირველი მხარე უფლებამოსილია დააკავოს შემოსავალი თანხის უკან დაბრუნება ჩასყიდობის საგნის შესახებ პირზე რეალიზაციამდე. თუმცა. ამასვე დროის ვადებულია დაიწყოს დაბრუნების მიღებულის მიერ შემოსავალი თანხა ჩასყიდობის საგნის შესახებ პირზე რეალიზაციის შემდეგ.

4. მხარეთა შეთანხმებით უძრავი ნივთების ფართების დაზუსტება (ობულისხმება ხაჯარი რეესტრისა და "ხელშეკრულების" მიზანშეწონილობა) მოხდება "ხელშეკრულების" მუ-3 მუხლის მუ-12 პუნქტის შესაბამისად.
5. მხარეთა შეთანხმებით გამყიდველი ახლად გადასცემს მიღებულს უსახლდელად, მას მართლზომიერ სარგებლობაში წინამდებარე დამატება/ცვლილებაზე თანდართულ ბინის პროექტის ნახაზში დაშტრიხულ ნაწილში ფართის ნაწილის დაახლოებით 9 (ცხრა) კვმ. - ის ოდენობით.
6. აქვე მხარეები თანხმდებიან რომ "ხელშეკრულების" მუ-3 მუხლის ბ)ქვეპუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთის - ავეჯისაღებომების დარეგისტრირება ხაჯარი რეესტრში მიღებულის სახელზე მოხდება მიღებიანებით, როცა პროექტის მიხედვით ავეჯისაღებომების განშლა გაკეთდება (ჯონიერულ ვადაში)
7. აქვე მხარეები თანხმდებიან რომ "ხელშეკრულებაზე" თანდართული თანხის გადახდის გრაფიკის შესაბამისად წინამდებარე შეთანხმება/ცვლილების ხელმოწერის მომენტისათვის გამყიდველის მიმართ არსებული დავალიანება მიღებულის მიერ დაიფარება არაუგვიანეს 2011წლის 14 ივლისისა
8. წინამდებარე დამატება წარმოადგენს მხარეთა შორის 2010 წლის 26 დეკემბერს ხელმოწერილი უძრავი ქონების ჩასყიდობის წინარე ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №10304861 დამოწმებული ნოტარიუს ნინო ბარამიძის მიერ 29.12.2010წ.) განუყოფელ ნაწილს
9. მხარეთა შეთანხმებით ნოტარიუსის ხარჯებს ფარავს გამყიდველი და წინამდებარე ხელშეკრულების ხაჯარი რეესტრში რეგისტრაციის ხარჯების დაფარვა მოხდება მყიდველის მიერ
10. წინამდებარე დამატება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება – მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების სხვა პუნქტები რჩება უცვლელი.

ხელშეკრულებას თან ახლავს 3 (სამი) დანართი:
1. ახალი ბინის პროექტის ნახაზი
2. თანხის გადახდის გრაფიკი.
3. ავეჯისაღებომების პროექტის ნახაზი

გამყიდველი:

მყიდველი:


1
2
3
4
5
600
500
600
60
12.83 m²
1.50 m²
0.40 m²
4.70 m
159 b
160
159 a
WC
WC
WC
WC
1.48 m
3.69 m²
158
1.36 m²
91.62 m²
84.71 m²
157 b
157 a
WC
WC
WC
3.95 m²
6.60 m
118
1.64 m²
WC
0.42 m²
WC
71.33²
117
116
2/2

ლამარა თათვიძის თანხის გადახდის გრაფიკი
(დანართი №2)

№	გრაფიკით დადგენილი თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	სახელშეკრულებო ღირებულება აშშ დოლარში	გრაფიკით შემოსატანი თანხა აშშ დოლარში	ნაშთი აშშ დოლარში
		75000 ~~78 500,00~~		
	28.12.2010		5000	
1)	05.01.2011		1000	
2)	05.02.2011		1000	
3)	05.03.2011		1500	
4)	05.04.2011		1500	
5)	05.05.2011		1500	
6)	05.06.2011		1500	
7)	05.07.2011		1500	
8)	05.08.2011		1500	
9)	05.09.2011		1500	
10)	05.10.2011		1500	
11)	05.11.2011		1500	
12)	05.12.2011		1500	
13)	05.01.2012		1500	
14)	05.02.2012		1500	
15)	05.03.2012		1500	
16)	05.04.2012		1500	
17)	05.05.2012		1500	
18)	05.06.2012		1500	
19)	05.07.2012		1500	
20)	05.08.2012		46000	

[illegible signature]

150 კვ
× 500 $
75000 $


600
500
600
60
600
600
6,840
640
78
77
76
74
75
79
80
81
82
73
72
71
70
69
68
67
83
84
85
86
87
88
89
90
91
66
65
64
63
61
60
2/2
491.33 m²
600
500
600
60
600
600
640

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110723101
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.07.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი ბაგრატიონი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი N16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	8322212207 577449130
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	44135991909711

ორიათას თერთმეტი წლის ცამეტ ივლისს მე, ნოტარიუსს, ლალი ბაგრატიონს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16, მომმართეს ირაკლი ლომთათიძემ როგორც შპს ,,ჯორჯიან-ჰაუზი"-ს" დირექტორმა (ს.კ 205211910) და ლამარა თათვიძემ. მათ მოითხოვეს წარმოდგენილ უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. ირაკლი ლომთათიძემ განაცხადა, რომ იგი ხელშეკრულებაზე ხელს აწერს, როგორც შპს ჯორჯიან-ჰაუზი"-ს" დირექტორი (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრისა: განაცხადის N302641 განაცხადის რეგისტრაციის NB11075850, ამონაწერის მომზადების თარიღი 25.05/2011 10:46:14). მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ირაკლი ლომთათიძემ (დაბადებული: 12.05.1988წ. თბილისი 3.01024053119, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ.6 ბ.20 გაცხადებული საცხოვრებელი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N8. ბინა 37) და ლამარა თათვიძემ (დაბადებული:22.10.01953წ. წყალტუბო, პ/ნ 60001069659. რეგისტრირებული: თბილისი დ.უზნაძის ქ. N 91ა) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაჩენია. მე მათ გაფრთხილებ ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მე ვამოწმებ მხოლოდ მათი ხელმოწერების ნამდვილობას. მათ განაცხადეს, რომ იცნობენ ხელშეკრულების ტექსტს, იგი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით ირაკლი ლომთათიძემ და ლამარა თათვიძემ პირადად მოაწერეს მას ხელი, რასაც ვამოწმებ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერები დამოწმებულია ორ ეგზემპლარად, ხელმოწერები შესრულებულია ხუთ გვერდზე. გადახდილია სახელმწიფო თანახმად ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს შესახებ" საქართველოს კანონის, (11 ივნისი, 1998წ. N1417 II ს), 29.3/ 20 (ოცი) ლარი, ერთი ეგზემპლარისათვის, ხოლო ორი ეგზემპლარისათვის 40(ორმოცი) ლარი, აგრეთვე მ. 31 პრიმა - 2.00 ლარი. სულ 42(ორმოცდაორი) ლარი.

ნოტარიუსი: /ლალი ბაგრატიონი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110723408
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.07.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი ბაგრატიონი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი N16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	8322212207 577449130
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42477133766711

ორიათას თერთმეტი წლის ცამეტ ივლისს მე, ნოტარიუსი ლალი ბაგრატიონი, ვამოწმებ წარმოდგენილ (უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება დამოწმებული: 13.07.2011 წელს ნოტარიუს ლ. ბაგრატიონის მიერ, რ/რ N110723010 7გვ. 1ეგზ) ფოტოასლის სისწორეს მის დედანთან, უკანასკნელში ამოფხეკილი, მიწერილი, გადაშლილი სიტყვები და სხვა ალუნიშვნელი გასწორებანი ან რაიმე თავისებურებანი არ აღმოჩენილა.

ამასთან განვმარტავ, რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და, შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად, და/ან შინაარსობრივად).

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 3.50 ლარი. , თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონისა (11 ივნისი, 1998 წ. N1417 II ს. მუხლი 29.5)

ნოტარიუსი / ლ.ბაგრატიონი /

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18